| 97. | სოფელ ითხვისში ბიბიაშვილების უბანში საუბნო გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი 500 გრძ.მ.-საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)         | 0 | 944  |

|     |  |   |      |
|-----|--|---|------|
| 98. | სოფელ რგანისა და სოფელ ვაჭევის გზის (გველესიანების უბნიდან კვერნების უბნამდე) -4900გრძ.მ.- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                        | 0 | 5428 |
| 99. | სოფელ ხრეთში აბაშიძე-ლოლაძეების უბანში 400გრძ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)   | 0 | 708  |
| 100 | ზოდი -წირქვალის შემაერთებელი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)  | 0 | 1180 |
| 101 | სოფელ სკინდორში ჯავახების უბნის 300გრძ.მ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)   | 0 | 590  |
| 102 | სოფელ სალიეთში ლომინაშვილების უბანში 800გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)  | 0 | 1180 |
| 103 | სოფელ გუნდაეთში ვაკე-ტყე , ბარათაშვილების, უზნაძეების უბანში ჭაბუკი ბარათაშვილების სახლთან 1კმ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია) | 0 | 1298 |
| 104 | სოფელ ტყემლოვანაში კაპანაძეების უბანში 1კმ-ზე გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)   | 0 | 1180 |
| 105 | სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის მოწყობა კბილარის მიმართულებით მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)   | 0 | 1180 |
| 106 | სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის მოწყობა ეკლესიიდან სოფლის ბოლომდე 2კმ.-მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                                  | 0 | 1294 |
| 107 | სოფელ ტყემლოვანაში ჩინჩალაძეების უბანში 800 გრძ.მ-ზე გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                                  | 0 | 1180 |
| 108 | სოფელ წირქვალში მიროტაძეების უბნიდან აბანოს უბნამდე მისასვლელი გზის 330გრძ.მ-ზე გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                              | 0 | 590  |
| 109 | სოფელ თვალუეთში ხელოსნიშვილების უბანში 200გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)  | 0 | 590  |
| 110 | სოფელ სვერში ლოყლაეთში 400გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)  | 0 | 708  |

|                  |  |                |                |
|------------------|--|----------------|----------------|
| 111              | სოფელ სვერში ჯაფარიძეების უბანში 150 გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                 | 0              | 590            |
| 112              | სოფელ ცხრუკვეთში საბრაგუნო - ჭიკაშვილების უბანში 100 გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია) | 0              | 472            |
| 113              | სოფელ პერევისაში ჯაომვილების უბანში 250გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)               | 0              | 590            |
| 114              | სოფელ ზოდში სხირტლაძეები იობაშვილების საუბნო გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                           | 0              | 1180           |
| 115              | სოფელ ეწერში სარალიძეების უბანში გზის 600 გრმ.მ-ზე მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                 | 0              | 1062           |
| 116              | სოფელ დარკვეთში კაციტაძეების უბანში 800გრმ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                  | 0              | 1180           |
| 117              | სოფელ ნავარძეთში ბაჭიკაშვილების უბნის გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)           | 0              | 708            |
| 118              | სოფელ პერევისაში ცხადაძეების უბანში 300მ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                 | 0              | 590            |
| 119              | სოფელ ზოდში ქაშაკაშვილების უბანში 1600-გრმ მ. გზის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)            | 0              | 1888           |
| 120              | სოფელ დარკვეთში სკოლასთან მისასვლელი 500-გრმ. მ გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)                        | 0              | 944            |
| 121              | სოფელ ზედა რგანში ვაშაძეების უბანში 150-გრმ. მ გზის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)           | 0              | 590            |
| 123              | ჭიათურა-საჩხერის გზატკეცილზე (მღვიმევის მონასტერთან) საპარკინგე ადგილის მოწყობის საპროექტო სამუშაოები  | 0              | 1000           |
| 124              | სოფელ კაცხში მონასტრის თავიდან ხარატიშვილების უბნისკენ მიმავალი გზის დარჩენილი მონაკვეთის საპროექტო სამუშაოები                                       | 0              | 1000           |
| <b>სულ ჯამში</b> |  | <b>3881440</b> | <b>3370605</b> |

|                      |          |   |                                    |
|----------------------|----------|---|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                      | 02 01 04 |   | 0.767                              |



|                               |  |
|-------------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი   | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.   |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ -ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ხიდები და მოაჯირები რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება. აღნიშნული პროგრამით განხორციელდება სოფელ ხრეთიში ტაბატაძეების ხიდის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ( ხელშეკრულება გაფორმებულია) |

|                      |          |                                      |                                    |
|----------------------|----------|--------------------------------------|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                      | 02 01 05 |                                      | 369.309                            |

|                               |   |
|-------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი   | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლების რეაბილიტაციას (ვინაიდან ქალაქი ჭიათურის ნაწილი წარმოადგენს ტერასულ დასახლებას) და მოწყობას. მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრები ხმარდება როგორც საპროექტო სამუშაოებს აგრეთვე შემდგომ საყრდენი კედლების აღდგენა, მშენებლობას.</p> <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით ნაგუთის დასახლებიდან ბაზრამდე და საჩხერის გზატკეცილის გასწვრივ შიდა ეზოებისა და ღობეების მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია) საევე საპროექტო სამუშაოები ჩატარდება სოფელ სკინდორში ბრეგვაძე ლამარას სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა (ტენდერი არის გამოცხადებული 2021 წელს და სამუშაოები დასრულდება 2022 წელს). ჭიათურაში კოსტავას ქუჩაზე სბავშვო ბაღის მიმდებარედ არსებული მინი სპორტული მოედნის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია (ტენდერი არის გამოცხადებულია) ჭიათურაში საბჭოს ქუჩა მეორე შესახვევი გიორგი ციცივიძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა. აღმაშენებლის N199-ის მიმდებარედ ზაზა გოგსამის სახლთან საყრდენი კედლის აღდგენის საპროექტო სამუშაოები. ასევე ტენდერი გამოცხადებულია და საპროექტო სამუშაოები განხორციელდება 2022 წლისათვის შემდეგ ობიექტებზე: სოფელ უსახელოში ცენტრალური გზის მიმდებარედ დაზიანებული საყრდენი კედლის, თავისუფლების I შესახვევი N5 -თან ჭიტაძე გედევანის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობისა და სანიაღვრე არხის აღდგენის 40 გრძ.მ-ზე ეზოდან უახლოეს ჭამდე, სოფელ სალიეთში თენგიზ მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის, მალარო2-ის დასახლებაში ნოდარ სამბარაძის სახლთან სარდენი კედლის, სოფელ სალიეთში თომა მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის 10გრძ.მ-ზე და სოფელ მორბეცეთში ცინასი მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, გაიცემა გასული წლის დაკავებული 2.5% თანხა. ობიექტებს გაეწევა საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> |

|                      |          |  |                                    |
|----------------------|----------|--|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების მოედნების მოწყობა. | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                      | 02 01 06 |  | 650.860                            |

|                               |   |
|-------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი   | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, კიბეებისა და მოედნების კაპიტალურ შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები, რომელიც ხმარდება პროექტირებასა და შემდგომ სამუშაოთა განხორციელებას. აღნიშნული პროგრამით განხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე შემდეგი სამუშაოები: ქალაქ ჭიათურაში ყაზბეგის ქუჩაზე გედების ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ხელშეკრულება გაფორმებულია) ქ. ჭიათურაში კინოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და ქ. ჭიათურაში თხელიძის ქუჩაზე ტროტუარის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია) ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: ქ. ჭიათურაში ნიკოპოლის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები (ტენდერი არის გამოცხადებული 2021 წელს და სამუშაოები დასრულდება 2022 წელს). ასევე ტენდერი გამოცხადებულია და საპროექტო სამუშაოები განხორციელდება 2022 წლისათვის შემდეგ ობიექტებზე: ვაჟა -ფშაველას ქუჩაზე ყოფილი საბაგირო სადგურის (შუალედი სადგური) ტერიტორიის</p> |

|  |   |
|--|---|
|  | <p>მოწყობისა და კიბეების აღდგენის, აღმაშენებლის ქ. N124 -ის მიმდებარედ კიბეების და ბათუმის ქუჩიდან ჩასასვლელი ბილიკისა და კიბეების მოწყობის, და მადაროელთა მოედნის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ობიექტებს გაეწევა საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> |
|--|---|

|                      |       |                              |                                    |
|----------------------|-------|------------------------------|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | წყლის სისტემების განვითარება | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                      | 02 03 |                              | 640.0                              |

|                             |  |
|-----------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. |
|-----------------------------|--|

|                  |   |
|------------------|---|
| პროგრამის აღწერა | <p>წყალმომარაგების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის ასევე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის წყალმომარაგება. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. წყლის სისტემის ექსპლოატაცია, რომელსაც ახორციელებს შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანია (რომლის მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება-ექსპლოატაცია, წყლის მიწოდების რეგულაცია უზნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ ისარგებლოს წყალმომარაგებით.</li> <li>2. წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია</li> </ol> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივ მოქმედ პროგრამას.</p> |
|------------------|---|

|  |   |
|--|---|
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები (რომელიც იმყოფება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას. |
|--|---|

|                      |       |                                       |                                    |
|----------------------|-------|---------------------------------------|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაცია | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                      | 02 03 |                                       | 640.0                              |

|                             |                      |
|-----------------------------|----------------------|
| პროგრამის განმახორციელებელი | შპს „ჭიათურის წყალი“ |
|-----------------------------|----------------------|

|                  |  |
|------------------|--|
| პროგრამის აღწერა | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანიის სუბსიდირებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობას რათა შეუფერხებლად მოხდეს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> |
|------------------|--|

|  |   |
|--|---|
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები (რომელიც იმყოფება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას. |
|--|---|

|                             |  |   |                                    |
|-----------------------------|--|---|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   | წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                             | 02 02 02   |   | 318.226                            |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური  |   |                                    |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით განხორციელდება სოფ. წინსოფელში, სკინდორში და ჭილოვანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. ობიექტებს გაეწევა საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. |   |                                    |

|                             |   |               |                                    |
|-----------------------------|---|---------------|------------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | გარე განათება | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|                             | 02 03   |               | 460.0                              |
| პროგრამის განმახორციელებელი | აიაპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი  |               |                                    |
| პროგრამის აღწერა            | <p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ ჭიათურაში, ჯარბელის დასახლებიდან სოფელ ბერეთისის მიმართულებით არსებულ მონაკვეთზე, სოფელ წასრის, სოფელ პერევისის და სოფელ ხრეთისის გარკვეულ უბნებში. ქალაქ ჭიათურასა და ქალაქ საჩხერეს შორის არსებულ საავტომობილო გზის მონაკვეთზე. გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქის მთელი ტერიტორია და მუნიციპალიტეტის სოფლების დასახლებული ტერიტორიის 5%.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია</li> <li>2. გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა და რეაბილიტაცია.</li> </ol> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p> |               |                                    |

|                                |  |                                    |                                  |
|--------------------------------|--|------------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 03 01   |                                    | 460.0                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | აიაპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი |                                    |                                  |

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 99%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</li> </ul> <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p> |
|--------------------------------------|---|

|                                    |  |   |  |
|------------------------------------|--|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p>     | <p>კოდი<br/>02 04</p>  | <p>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br/>2173.7</p> |
| <p>პროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია</p>   |   |  |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>  | <p>აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფლებისა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (არნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო). არნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს შპს „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“.</li> <li>2. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება.</li> </ol> <p>მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი.</p> <p>მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება თავისი შინაარსით წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და ითვალისწინებს გარე განათებისათვის ამწეკალათის შექმნას და ჭაბურღილების გასაჭრელი სპეციალური ავტომანქანის შექმნას.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p> |   |  |

|                                       |   |   |  |
|---------------------------------------|---|---|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p>        | <p>კოდი<br/>02 04<br/>01</p>  | <p>მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br/>2173.7</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია</p>  |   |  |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>  | <p>შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირების პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფლებისა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (აღნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო).</p> <p>მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და საკუთრივ შპს-ს შემოსავლები, რომელსაც იღებს მგზავრთა მომსახურებიდან.</p> |   |  |

|                                |   |  |                                  |
|--------------------------------|---|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 06   |  | 548.466                          |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება.</p> <p>ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამა მუნიციპალური ამხანაგობების ხელშეწყობას და უზრუნველყოფს ისეთი პროგრამების განვითარებას როგორცაა:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია</li> <li>2. საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, სახურავი მასალის შექმნას.</li> <li>3. საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა.</li> </ol> <p>მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა კომფორტული გადაადგილებისათვის საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენას. მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებისათვის უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლებისათვის რბილი გადახურვისა და ლითონის სახურავის შექმნასა და გადაცემას ამხანაგობებისათვის. აგრეთვე უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების საქსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და იერსახის შენარჩუნებისათვის ფასადების რეაბილიტაციის (შედგენა-შეკეთების) სამუშაოებს.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p> |  |                                  |

|                                |  |   |                                  |
|--------------------------------|--|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 06 03   |   | 548.466                          |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.   |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება, რითაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და საცხოვრებელი კორპუსი მეტად დაცული იქნება გარე ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორცაა წვიმა და თოვლი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ჭიათურაში თხელიძის ქ. N9-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ქ.ჭიათურაში თხელიძის ქ. N15-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ქ.ჭიათურაში თხელიძის ქ. N19-ში და ქ.ჭიათურაში თხელიძის ქ. N17-ში მდებარე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე განხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე განახლებული რეგიონების ფარგლებში ქ.ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩის N17-ში, ქ.ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩის N13-ში და ქ.ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩის N19-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია ზემოთ აღნიშნულ პროექტებზე ტენდერი გამოცხადებულია 2021 წელს. სამუშაოების დასრულება მოხდება 2022 წელს. ობიექტებს გაეწევა საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p> |   |                                  |

|                                |  |  |                                  |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 07  |  | 2816.718                         |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. |  |                                  |

|                               |   |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. ვინაიდან ჭიათურა არის მარგანეცის მომპოვებელი რომლის ტრანსპორტირება ხდება მარალი გამავლობის ავტომობილებით აქედან გამომდინარე ხშირია დამტვერიანება, ასეთი გლობალური პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებლობას წარმოადგენს მწვანე ნარგავების განაშენიანება.<br>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. |
|-------------------------------|---|

|                         |          |   |                                  |
|-------------------------|----------|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                         | 02 07 01 |   | 1984.193                         |

|                                |  |
|--------------------------------|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. |
|--------------------------------|--|

|                               |   |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება დეგრადირებული ნიადაგის აღდგენა-გამწვანება, ასევე ქალაქის შემოსასვლელთან ნავარძეთის მიმდებარე სკვერებისა და გადასახედების მოწყობის სამუშაოები და ქ. ჭიათურაში გიორგამის ქ. N 1 სკვერის მოწყობის სამუშაოები ქალაქ ჭიათურაში ტერასული სკვერის მოწყობის სამუშაოები, საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოწყობა ქ. ჭიათურაში წერეთლის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია და ქ. ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობა ტენდერი გამოცხადებულია 2021 წელს სამუშაოების დასრულება მოხდება 2022 წელს. ასევე განხორციელდება სოფელ სვერში წყაროს მიმდებარე ტერიტორიისა და სკვერის მოწყობის სსაპროექტო სამუშაოები. ტენდერი გამოცხადებულია ჭიათურაში წმ. გერმანეს ქუჩის მიმდებარე სკვერის მოწყობის, ჭიათურაში სამეგრდნოს კლდიდან გადმოსახედის მოწყობის, ჩაჩანიძის ქ.N52-თან ტრენაჟორების, ფანჯატურის მოწყობა - შემოღობვის და ჩაჩანიძის N58-ის ეზოს შემოღობვის და კეთილმოწყობის, ჭიათურაში ჭილაძის ქუჩაზე სკვერის მოწყობის, ჭიათურაში სივულდას სკვერის მოწყობის, ჭიათურაში ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის სკვერის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტებს გაეწევა საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. |
|-------------------------------|---|

|                      |          |                             |                                  |
|----------------------|----------|-----------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი     | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 02 07 02 |                             | 832.525                          |

|                                |   |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური |
|--------------------------------|---|

|                               |  |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება 2021 წელს გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად სოფელ მერევეში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, 812000 ლარის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პროექტების დაფინანსება. |
|-------------------------------|--|

|                      |       |                           |                                  |
|----------------------|-------|---------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | სასაფლაოს მოვლა შემოღობვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 02 08 |                           | 93.671                           |

|                                |   |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური |
|--------------------------------|---|

|                               |  |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ზედა ბერეთისაში შემოღობვის სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია). ასევე განხორციელდება სოფელ ითხვისში მახათაძეები -გოგატიშვილების უბნის სასაფლაოს შემოღობვა. ზედამხედველობას განხორციელებს საინჟინრო მონიტორინგი. |
|-------------------------------|--|

**მუხლი 14.**  
**დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00**

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2022-2025 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა

გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო ასრულების კუთხით ჩართულია ააიპ „ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

|                             |   |   |                                  |
|-----------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 03 01   |   | 1800.0                           |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით. |   |                                  |

|                             |   |   |                                  |
|-----------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 03 03   |   | 170.0                            |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა შენარჩუნებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამატებით განთავსდეს სანაგვე ურნები, რომელიც განთავსდება განხორციელდება საჭიროების შესაბამისად. ასევე დაგეგმილია ერთი ერთეული ავტომანქანის აძწე კალათის შექმნა. |   |                                  |

|                             |   |                           |                                  |
|-----------------------------|---|---------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | სანიაღვრე არხების აღდგენა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 03 04   |                           | 149.477                          |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |                           |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, რათა უხვი ნალექიანობისას არ მოხდეს სავალი ნაწილების დატბორვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში მადარო N18-ის გადასახვევის მიმდებარედ წყალგამტარი არხის რეაბილიტაცია, . სოფელ ითხვისში კობერიძეების უბანში წყაროს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. ასევე განხორციელდება გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გოგებაშვილის I შეს N15-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა. სოფელ ითხვისში კობერიძეების უბანში წყაროს მიმდებარედ დაახლოებით 50გრმ. მეტრის სანიაღვრე არხის მოწყობის, ჩაჩანიძის ქუჩაზე იშხნელების სახლთან სანიაღვრე არხისა და შემკვრების მოწყობის, სანიაღვრე არხის აღდგენა თავისუფლების ქუჩაზე დაახლოებით 40მ-ზე (ჭიტაძის ეზოდან უახლოეს ჭამდე) მოწყობის, ჩაჩანიძის ქუჩაზე კომისარიატის მოპირდაპირედ თეიმურაზ გურჯიძის სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობის და 9აპრილის ქN57 -დან 9აპრილის ქN 87-ის გაგრძელებაზე სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის საპროექტო სამუშაოები. |                           |                                  |

განათლება 04 00

სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამა 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

|                      |       |  |                                     |
|----------------------|-------|--|-------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                      | 04 01 |  | 4500.0                              |

|                             |   |
|-----------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი |
|-----------------------------|---|

|                            |   |
|----------------------------|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1650-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 702 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბავშვებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბავშვებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> |
|----------------------------|---|

|                         |          |  |                                     |
|-------------------------|----------|--|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                         | 04 01 02 |  | 61.324                              |

|                                |   |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური |
|--------------------------------|---|

|                               |  |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ბერეთისის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის და შიდა კარების მოწყობა, სოფელ სვერის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარების მოწყობა, სოფელ უსახელოს საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის შიდა კარების მოწყობა, სოფელ წირქვალის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის ფანჯრებისა და |
|-------------------------------|--|



|  |  |
|--|--|
|  | შიდა კარებების მოწყობა და სოფელ რგანის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარებების მოწყობა. |
|--|--|

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|------------------------------|----------------------------------|
|                                | 04 03   |                              | 825.319                          |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური   |                              |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 14.01.2022 წლის №51 განკარგულებით განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება. |                              |                                  |

მუხლი 16.

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00**

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

**05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---------------------------------|----------------------------------|
|                                | 05 01  |                                 | 1990.085                         |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური |                                 |                                  |

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:<br/> ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის N27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა<br/> ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა<br/> ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:<br/> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br/> - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;<br/> - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> |
|--------------------------------------|---|

|                                |                          |  |  |
|--------------------------------|--------------------------|--|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი<br/>05 01 01</p> | <p>სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br/>1307.000</p> |
|--------------------------------|--------------------------|--|--|

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური</p> |
|---------------------------------------|---|

|                                      |  |
|--------------------------------------|--|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:<br/> ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის N27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა<br/> ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა<br/> ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:<br/> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br/> - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;<br/> - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> |
|--------------------------------------|--|

|                                |                             |  |   |
|--------------------------------|-----------------------------|--|---|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი<br/>05 01 01 01</p> | <p>სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br/>700.0</p> |
|--------------------------------|-----------------------------|--|---|

|   |   |
|---|---|
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის N27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> |
|---|---|

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა დარგის (ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიულოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.<br/> მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის აიპ N27-ე კომპლექსურ სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგბეებისა და და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.<br/> პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა</p> |
|--------------------------------------|---|

|  |   |  |  |
|--|---|--|--|
|  | ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე |  |  |
|--|---|--|--|

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | რაგბის განვითარების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--------------------------------|----------------------------------|
|  | 05 01 01 02   |                                |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა   |                                |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 160 სპორტსმენს და 11 მწვრთნელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ ააიპ რაგბის სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგბეებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.</p> <p>პროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე</p> |                                |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|----------------------------------|
|  | 05 01 01 03   |   |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა   |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა საიდანაც ხორციელდება სკოლის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალი სხელფასს. პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p> |   |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სპორტული ღონისძიებები | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|-----------------------|----------------------------------|
|  | 05 01 02   |                       |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური. |                       |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ ჭიათურის მორაგბეთა კლუბ „მათე“-ს              |                       |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|------|--|----------------------------------|
|-------------------------|------|--|----------------------------------|

|  |   |  |         |
|--|---|--|---------|
|  | 05 01 03  |  | 503.085 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.  |  |         |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ჭიათურაში ტოლსტოის ქუჩაზე ყოფილი მე-10 სკოლის ტერიტორიაზე მინი საფეხბურთო მოედნისა და სკვერის მოწყობა, ქ. ჭიათურაში მე-3 საჯარო სკოლასთან მინი სტადიონის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია სამუსაოები დასრულებდა 2022 წელს). ასევე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩაზე სტადიონის მოწყობის, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე საცურაო აუზის და თემურ მადრადის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები. |  |         |

|  |  |                             |                                  |
|--|--|-----------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | კულტურის სფეროს განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02  |                             | 2665.067                         |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური  |                             |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი: ააიპ N1 დ N 2 მუსიკალური სკოლა , ააიპ სახელოვნებო სკოლა, ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თეატრი. დაფინანსდება რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები, აგრეთვე განხორციელდება ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა და კულტურის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება. |                             |                                  |

|  |  |  |                                  |
|--|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01   |  | 2064.8                           |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური  |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი: სსიპ რიტუალების სახლი, ააიპ N1 დ N 2 მუსიკალური სკოლა , ააიპ სახელოვნებო სკოლა, ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და სხვა. |  |                                  |

|  |  |                                  |                                  |
|--|--|----------------------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | მუსიკალური განათლების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01 01  |                                  | 319.8                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის N1 სამუსიკო სკოლა  |                                  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა. მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა სამემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე;მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის |                                  |                                  |

|  |   |
|--|---|
|  | ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი.   |
|  | სკოლა აერთიანებს 360 მოსწავლეს, საიდანაც 64 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 99 მოსწავლე, ობოლი 13 მოსწავლე, დევნილი 5 მოსწავლე, მრავალშვილიანი 39 მოსწავლე, ლაურეატი 62 მოსწავლე, ფოლკლორის 78 მოსწავლე. |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | მუსიკალური განათლების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|----------------------------------|----------------------------------|
|  | 05 02 01 02  |                                  |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა   |                                  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ააიპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლას მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი.</p> <p>სკოლა აერთიანებს 190 მოსწავლეს, საიდანაც 17 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 77 მოსწავლე, დევნილი 4 მოსწავლე, მრავალშვილიანი 9 მოსწავლე, ლაურეატი 64 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე.</p> |                                  |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სახვითი ხელოვნების განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--------------------------------|----------------------------------|
|  | 05 02 01 03  |                                |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა   |                                |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლას. სადაც სწავლობს 45 ბავშვი, რომელთაც ასწავლის 5 პედაგოგი.</p> <p>სახვითი ხელოვნების განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება კონკურსებსა და გამოფენებში.</p> |                                |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|-----------------------------------|----------------------------------|
|  | 05 02 01 04   |                                   |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა   |                                   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქვეპროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა და მუშაობა, საკატალოგო მუშაობის წარმოება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო პროცესში ელექტრონული საცნობარო ბაზის შექმნა.</p> |                                   |                                  |

|  |  |  |                                  |
|--|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის ფუნქციონირება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 01 05  |  | 1080.0                           |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი   |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი რომლის მიზანია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ტეტრალური ხელოვნების საგუნდო და ფოლკლორული ანსამბლების განვითარება და პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მასში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი: 1)აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი- სოფელ ცხრუკვეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჭიათურაში და მთამსვლელ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი სოფ.ხრეთში.</p> <p>სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი აერთიანებს 870 მოსწავლეს და 26 პედაგოგს.</p> <p>ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - 223 მოსწავლე;<br/>         ნ. ფიროსმანის სახ. სამხატვრო სკოლა „ნიკალა“ -106 მოსწავლე<br/>         ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილი სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა - 485მოსწავლე<br/>         გ. მოდეშაძის სახელობის საბავშვო თეატრალური სტუდია „ცისკარა - 14 მოსწავლე<br/>         სასწავლო სექტორი - 42 მოსწავლე (უფასო)</p> |  |                                  |

|  |   |                  |                                  |
|--|---|------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | რიტუალების სახლი | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 02  |                  | 30.0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სსიპ რიტუალების სახლი                             |                  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურებას. |                  |                                  |

|  |   |                       |                                  |
|--|---|-----------------------|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | კულტურის ღონისძიებები | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 05 02 02  |                       | 50.0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური  |                       |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ორგანიზებას; განხორციელებს საახალწლო ღონისძიებისა და სახალხო დღესასწაულის „ჭიათურობის დაფინანსება“ |                       |                                  |

|  |   |  |                                     |
|--|---|--|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი  | კულტურის ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|  | 05 02<br>03   |  | 490.267                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური  |  |                                     |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამა ითვალისწინებს განხორციელებს სახელმწიფო პროგრამის განახლებული რეგიონების ბარგლებში ქ. ჭიათურაში ქორწინების სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, და ქ. ჭიათურაში კულტურის სახლის ტერიტორიაზე სკვიდობრდის სავარჯიშო მოედნისა და სკვერის მოწყობა (ხელშეკრულებები გაფორმებულია). განხორციელებს საზედამხედველო სამუშაოები. |  |                                     |

|  |  |   |                                     |
|--|--|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|  | 05 02<br>04  |   | 60.0                                |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური   |   |                                     |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და სხვა მიმდინარე საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას |   |                                     |

|  |  |                          |                                       |
|--|--|--------------------------|---------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარებში |
|  | 05 03  |                          | 100.0                                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური  |                          |                                       |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალისწინებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილე ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება;</p> <p>ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა; დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;</p> <p>წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდების, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და ინდივიდი სპორტსმენების დაჯილდოება;</p> <p>ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება'</p> <p>წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება' ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადაში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შექმნა;</p> <p>პროექტ „ეტალონის“ დაფინანსება;</p> |                          |                                       |

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამღები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 06 01

| პროგრამის დასახელება        | კოდი   | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|-----------------------------|--|--------------------------------------|-------------------------------------|
|                             | 06 01 01   |                                      | 157.7                               |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.ა.ი.პ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი   |                                      |                                     |
| პროგრამის აღწერა            | <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რესურსებისა და მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმშრდელო და საგანმანათლებლო-სააღმშრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმშრდელო და საგანმანათლებლო-სააღმშრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისა; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</li> <li>2 იმუნიზაცია.</li> <li>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</li> <li>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</li> </ol> |                                      |                                     |
| პროგრამის მიზანი            | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;   |                                      |                                     |

| პროგრამის დასახელება        | კოდი   | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|-----------------------------|--|---|-------------------------------------|
|                             | 06 01 02   |   | 28.0                                |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |   |                                     |



|                  |  |
|------------------|--|
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ფილიალის წითელი ჯვრის თანადაფინანსება რომელიც სხვადასხვა სოციალურ და სამედიცინო დახმარებას გაუწევს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს. |
| პროგრამის მიზანი | მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.  |

**სოციალური პროგრამები 06 02**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შედეგებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

|   |  |                            |                                  |
|---|--|----------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                      | კოდი   | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|   | 06 02 01   |                            | 1038.0                           |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |                            |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა                       | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:</p> <p>ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;</p> <p>ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;</p> <p>გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;</p> <p>დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;</p> <p>ე) რადიკალური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება;</p> <p>პროგრამის მიზანია ზემოთ აღნიშნული დაავადებების ფარგლებში ჭიათურის სოციალური დაფინანსების წესის შესახებ საკრებულოს დადგენილების გათვალისწინებით ბენეფიციართა მომართვიანობის დაკმაყოფილება.</p> |                            |                                  |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. დაკმაყოფილებული მომართვიანობა   |                            |                                  |

|  |  |  |                                  |
|--|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                     | კოდი   | სამკურნალო საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|  | 06 02 01 01  |  | 650.0                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <p>ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების,</p> |  |                                  |

|   |   |
|---|---|
|   | <p>მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმიური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვ-კუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მიმდებარე ფორმის შექმნილი ნერვ-კუნთოვანი დაზიანების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p> |
| <p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. დაკმაყოფილებული მომართვიანობა</p>   |

|  |  |   |   |
|--|--|---|---|
| <p>პროგრამის დასახელება</p>                  | <p>კოდი<br/>06 02<br/>01 02</p>  | <p><b>პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება</b></p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p style="text-align: right;"><b>46.0</b></p> |
| <p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</p>  |   |   |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>            | <p>ქვეპროგრამით განსაზღვრული ჰემოდიალიზისა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.</p> |   |   |

|  |   |   |  |
|--|---|---|--|
| <p>პროგრამის დასახელება</p>                  | <p>კოდი<br/>06 02<br/>01 03</p>   | <p><b>მკვეთრად შზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება</b></p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p style="text-align: right;"><b>190.0</b></p> |
| <p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</p> |   |  |

|                            |   |  |  |
|----------------------------|---|--|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:</p> <p>ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.</p> <p>ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით.</p> <p>განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p> |  |  |
|----------------------------|---|--|--|

|                      |                |   |                                  |
|----------------------|----------------|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი           | სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 06 02<br>01 04 |   | 150.0                            |

|                                       |  |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|

|                            |  |  |  |
|----------------------------|--|--|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p> |  |  |
|----------------------------|--|--|--|

|                      |                |  |                                  |
|----------------------|----------------|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი           | რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ შეზღუდული სტატუსის მქონე პირთა პირთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 06 02<br>01 05 |  | 2.0                              |

|                                       |  |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|

|                            |   |  |  |
|----------------------------|---|--|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.</p> |  |  |
|----------------------------|---|--|--|

|                      |             |                          |                                  |
|----------------------|-------------|--------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი        | ომის ვეტერანთა დაკრძალვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 06 02<br>02 |                          | 5.5                              |

|                                       |  |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |  |  |
|---------------------------------------|--|--|--|

|                            |  |
|----------------------------|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მეზობლობა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს. |
|----------------------------|--|

|                                       |   |   |                                     |
|---------------------------------------|---|---|-------------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | ბენეფიციართა უფასო სასაბუღალტრო მომსახურება | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>03   |   | 210.0                               |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |   |                                     |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 180-მდე ბენეფიციარს.<br><br>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს მომსახურება გაეწევა ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ. |   |                                     |

|                                       |  |                             |                                     |
|---------------------------------------|--|-----------------------------|-------------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | მოსახლეობის სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>04  |                             | 63.0                                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |                             |                                     |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:<br>ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;<br>ბ) დევნილთა სოციალური დაცვა;<br>გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;<br>დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება; |                             |                                     |

|                                       |  |                                       |                                     |
|---------------------------------------|--|---------------------------------------|-------------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ხანდაზმულთა ერთჯერადი სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>04 01   |                                       | 26.0                                |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |                                       |                                     |

|                            |   |
|----------------------------|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით. |
|----------------------------|---|

|                                       |  |                           |                                  |
|---------------------------------------|--|---------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | დევენილთა სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>04 02   |                           | 11.0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |                           |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევენილებს.<br>აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს.<br>განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა. |                           |                                  |

|                                       |   |   |                                  |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>04 03  |   | 4.0                              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს. |   |                                  |

|                                       |   |  |                                  |
|---------------------------------------|---|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | მარჩანელდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>04 04  |  | 22.0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად წლის განმავლობაში 100 ლარის ოდენობით. |  |                                  |

|                      |      |  |                                  |
|----------------------|------|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|------|--|----------------------------------|

|                                       |  |  |         |
|---------------------------------------|--|--|---------|
|                                       | 06 02<br>04 05   |  | 412.770 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |  |         |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:</p> <p>ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა;</p> <p>ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;</p> <p>გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა;</p> <p>დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება;</p> |  |         |

|                                       |  |                                      |                                  |
|---------------------------------------|--|--------------------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>05 01   |                                      | 110.0                            |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |                                      |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:</p> <p>ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.</p> <p>ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.</p> <p>გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.</p> <p>დ) მეოთხე შვილის დაბადებისას - 300 ლარი.</p> <p>ე) მეხუთე შვილის დაბადებისას - 350 ლარი.</p> <p>ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას - 500 ლარი.</p> <p>ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას - 700 ლარი.</p> <p>თ) მერვე და შემდგომი შვილის დაბადებისას - 1000 ლარი.</p> <p>ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მოქალაქე-განხორციელებელთა გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p> |                                      |                                  |

|                                       |  |   |                                  |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>05 02   |   | 100.0                            |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.</p> <p>განხორციელებელთა გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p> |   |                                  |

|                      |      |                                   |                                  |
|----------------------|------|-----------------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|------|-----------------------------------|----------------------------------|

|                                       |   |  |       |
|---------------------------------------|---|--|-------|
|                                       | 06 02<br>05 03  |  | 140.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |  |       |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.</p> <p>ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);</p> <p>ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;</p> <p>გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;</p> <p>დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.</p> |  |       |

|                                       |  |  |                                  |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>05 04   |  | 62.770                           |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |  |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის. დახმარება გაიცემა საცხოვრებელით უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:</p> <p>ა) ერთ და ორ სულიან ოჯახებზე - 100 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სამ და ოთხ სულიან ოჯახებზე - 150 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფანჯულაის ქ №13-ში მდებარე დაზიანებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთათვის საკომპენსაციო თანხის გაცემა.</p> |  |                                  |

|                                       |   |   |                                  |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი  | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02<br>06   |   | 100.0                            |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.</p> |   |                                  |

|   |
|---|
| სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა |
|---|

|                                       |  |                          |                                  |
|---------------------------------------|--|--------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება                  | კოდი   | ომის ვეტერანთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                       | 06 02 07   |                          | 78.0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |                          |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი            | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 250 ლარს. |                          |                                  |

**მუხლი 18. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები**  
 ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში

**თავი III. ჭიათურის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები**

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| ორგ. კოდი | ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 2020 წლის ფაქტი |   |                      | 2021 წლის გეგმა |   |                      | 2022 წლის პროგნოზი |   |                      |
|-----------|-------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|           |                         | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
